ოქმი N1

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2023 წლის 18 იანვარი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 24 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა საკრებულოს წევრებს, პარლამენტის წევრს (დ. ბერაია) და დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ სოლიდარობას უცხადებს უკრაინელ ხალხს უთანასწორო ბრძოლაში და წარმატებები უსურვა მათ.

დღის წესრიგი:

1. „ბესიკი თამლიანის უფლებამოსილების ცნობად მიღების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0
(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, ჯ. ჯიშკარიანი, ნ. ბოკუჩავა, ბ. ხარბედია)
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ბესიკი თამლიანის უფლებამოსილების ცნობად მიღების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ბესიკი თამლიანის უფლებამოსილების ცნობად მიღების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობი“-ს პარტიული სიით

წარდგენილ საკრებულოს წევრს ზურაბი შამათავას შეუწყდა უფლებამოსილება, პირადი განცხადების საფუძველზე, რაზედაც ეცნობა N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიას, რომლის მხრიდანაც წარმოდგენილ იქნა გადაწყვეტილება პარტიული სიით საკრებულოს წევრობის რიგით მომდევნო მისი უფლებამონაცვლე კანდიდატის ბესიკი თამლიანის უფლებამოსილების ცნობის შესახებ. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ბესიკი თამლიანის უფლებამოსილების ცნობად მიღების შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა ცნობის სახით.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკრებულოს წევრმა (ზ. შამათავა) თავისი განცხადების საფუძველზე დატოვა საკრებულოს წევრის უფლებამოსილებ, გამომდინარე აქედან, სიით საკრებულოს წევრობის რიგით მომდევნო მისი უფლებამონაცვლედ წარმოდგენილ იქნა ბესიკი თამლიანი, რომელსაც მიულოცა საკრებულოს წევრობა და წარმატებები უსურვა საქმიანობაში. იქვე მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არ ქონდათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

(განკარგულება N1 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლის თანახმადაც ბიუჯეტში ხორციელდება ნაშთის 3334.7 ათასი ლარის (1000.0 ათასი ლარი ცენტრალური ბიუჯეტი, 2334.7 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი) და შემოსულობების ზრდით მიღებული ასიგნებები 1575.6 ათასი ლარი (გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან), სულ 4910.3 ათასი ლარის ასახვა, რომელიც მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის ,,წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება" ასიგნებაზე 186.8 ათასი ლარი; პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" ასიგნებაზე 4718,4 ათასი ლარი; პრიორიტეტის ,,განათლება" ასიგნებებზე 2,4 ათასი ლარი; პრიორიტეტის ,,კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები" ასიგნებებზე 1,4 ათასი ლარი; პრიორიტეტის ,,მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა" ასიგნებებზე 1,3 ათასი ლარი. ასევე ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გადიდდა შემოსავლები „გრანტებიდან" (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 3360,5 (სამი მილიონ სამასსამოცი ათას ხუთასი) ათასი ლარით და შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა – 3360,4 ათასი ლარი მიიმართა პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" „არაფინანსური აქტივები"-ს ასიგნებაზე, კერძოდ: 3360,4 ათასი ლარი ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" ასიგნებაზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, ჯ. ჯიშკარიანი, ნ. ბოკუჩავა, გ. ქარდავა, მ. ხუხია, ვ. ფოცხორაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N1 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი)

მოისმინეს: ჯ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-4 საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების თანახმად, მერს მიენიჭა უფლებამოსილება საკრებულოს სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით წერილობითი მიმართვის შესაძლებლობის თაობაზე. ამასთან მერიის და მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულებებში თანამდებობის პირთა თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები რეგულირდებოდა საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, რომელსაც შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი. ზემო აღნიშნული ცვლილებების ასახვის მიზნით მერიის მხრიდან წარმოდგენილია დადგენილების პროექტები: „ხობის

მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, ჯ. ჯიშკარიანი, ნ. ბოკუჩავა, გ. ქარდავა, მ. ხუხია, ვ. ფოცხორაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N2 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი)

მოისმინეს: ჯ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, ჯ. ჯიშკარიანი, ნ. ბოკუჩავა, გ. ქარდავა, მ. ხუხია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N3 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ", სადაც გაწერილია საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმა საკრებულოს კომისიების წლიური გეგმისა და მერიის მიერ 2023 წელს მოსამზადებელი პროექტების გათვალისწინებით, რომელიც გათვლილია კვარტლების მიხედვით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა,

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, ჯ. ჯიშკარიანი, ნ. ბოკუჩავა, გ. ქარდავა, მ. ხუხია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N2 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2023 წლის 18 იანვრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ნუგზარ შუშანია
5. ბექა მამაცაშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. მედეა თათარიშვილი
8. ლევანი ლიპარტია
9. დოდო გაბუნია
10. აკაკი მალანია
11. გიორგი გვასალია
12. აკაკი ხურცილავა
13. ბადრი რიჟამაძე
14. გურიელ ქარდავა
15. ბექა ხარბედია
16. სერგო ბერაია
17. მზია ლემონჯარია
18. გივი ლატარია
19. კობა გერგაია
20. ვეფხვია ფოცხორაია
21. დიტო ხასია
22. მოგელი ხუხია
23. ფელიქსი წურწუმია
24. მაკა ჩარტია